წერილის ნომერი: **30-30261809**
თარიღი: **29/06/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ისთვის (ს/კ 433645932), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2026 წლის 21 აპრილს განცხადებით (კანცელარიის ნომერი N 10/30261114-30- 21.04.2026 წ.) მომართა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ის (ს/კ 433645932) თავმჯდომარემ ქალბატონმა მარინა ნუცუბიძემ, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ზაალ მდინარაძის ქუჩა N 1-ში მდებარე 27.06.56.072.01.505 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 94,54 კვ.მ. ფართიდან 46.53 კვ.მ. ფართის გადაცემა პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ს ფუნქციონირებისათვის.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაცია ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ინტეგრაციას, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას შშმ პირთა მიერ საკუთარი უფლებების გაცნობისა და უფლებათა გამოყენების უნარ-ჩვევების ამაღლებისთვის, ეწევა შშმ პირთა უფლებების - დამოუკიდებელი ცხოვრების იდეის პოპულარიზაციას, აგრეთვე სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში და ა.შ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორ“-ს (ს/კ 433645932) გადაეცეს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქ. ლანჩხუთში ზაალ მდინარაძის ქუჩა N 1-ში მდებარე 27.06.56.072.01.505 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 94,54 კვ.მ. ფართიდან N 8 და N 9 ოთახები ჯამში 46.53 კვ.მ. ფართი თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-302617725**
თარიღი: **26/06/2026**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის 1, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად: მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: აღნაგობა; უზუფრუქტი; ქირავნობა; იჯარა; თხოვება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2026 წლის 21 აპრილს განცხადებით (კანცელარიის ნომერი N 10/30261114-30- 21.04.2026 წ.) მომართა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ის (ს/კ 433645932) თავმჯდომარემ ქალბატონმა მარინა ნუცუბიძემ, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ზაალ მდინარაძის ქუჩა N 1-ში მდებარე 27.06.56.072.01.505 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 94,54 კვ.მ. ფართიდან 46.53 კვ.მ. ფართის გადაცემა პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ „ პროგრესის ვექტორი“-ს ფუნქციონირებისათვის.

ზემოთ აღნიშნული ორგანიაზაცი ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ინტეგრაციას, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას შშმ პირთა მიერ საკუთარი უფლებების გაცნობისა და უფლებათა გამოყენების უნარჩვევების ამაღლებისთვის, ეწევა შშმ პირთა უფლებების -დამოუკიდებელი ცხოვრების იდეის პოპულარიზაციას, აგრეთვე სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში და ა.შ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორ“-ს (ს/კ 433645932) გადაეცეს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კერძოდ : ქ. ლანჩხუთში ზაალ მდინარაძის ქუჩა N 1-ში მდებარე 27.06.56.072.01.505 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 94,54 კვ.მ. ფართიდან N 8 და N 9 ოთახები ჯამში 46.53 კვ.მ. ფართი თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

გთხოვთ დაავალოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს შესაბამისი პროექტის მომზადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოზე განსახილველად.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-სამსახურის უფროსი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ა(ა)იპ პროგრესის ვექტორის ს/კ 433645932

თავმჯდომარე მარინა ნუცუბიძის

მცხოვრები: ლანჩხუთი კუპრეიშვილის N12

ტელეფონი:598191981

განცხადება

გაცნობებთ, რომ 2015 წლიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აქტიურად მოღვაწეობს ა(ა)იპ პროგრესის ვექტორი, რომელიც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

ჩვენი ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის, კერძოდ კი, შეკრებებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, აუცილებელია ფართი.

გთხოვთ, ორგანიზაციას „პროგრესის ვექტორი" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადმოსცეთ, ქალაქ ლანჩხუთში ზაალ მდინარაძის N1-ში ს/კ 27.06.56.072.01.505 და 40 კვადრატული მეტრი ფართი.

ჩვენი მხრივ, გამოვთქვამთ მზადყოფნას, მოვახდინოთ გადმოცემული ფართის რეაბილიტაცია და გამოვიყენოთ იგი ზემოაღნიშნული მიზნებისთვის.

იმედს ვიტოვებთ, მხარს დაუჭერთ ჩვენს ინიციატივას და ხელს შეუწყობთ მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ინტეგრაციას.

პატივისცემით,

მარინა ნუცუბიძე ორგანიზაცია ,,პროგრესის ვექტორის" თავმჯდომარე

21.04.2026

თარიღი

ხელმოწერა

GEO

სახელი / FIRST NAME
მარინა
MARINA

გვარი / LAST NAME
ნუცუბიძე
NUTSUBIDZE

მოქ. / CIT. GEO
სქესი / SEX მდ / F
პირადი No / PERSONAL No 26001010951

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
13.01.1968

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
19.06.2034

ბარათის No / CARD No
23ID45910

ხელმოწერა
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ლანჩხუთი
LANCHKHUTI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
19.06.2024

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGEO23ID45910526001010951<<<<
8801133F3406197GEO<<<<<<<<<<<9
NUTSUBIDZE<<MARINA<<<<<<<<<<<<

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ისთვის (ს/კ 433645932), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ის (ს/კ 433645932) მისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქ. ლანჩხუთში ზაალ მდინარაძის ქუჩა N 1-ში მდებარე 27.06.56.072.01.505 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 94,54 კვ.მ. ფართიდან N 8 და N 9 ოთახები ჯამში 46.53 კვ.მ.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892024296182 - 29/08/2024 10:10:46

მომზადების თარიღი
05/09/2024 11:58:43

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
ლანჩხუთი	ლანჩხუთი			
27	**06**	**56**	**072**	**01/505**

მისამართი: ქალაქი ლანჩხუთი , ქუჩა მდინარაძის , N 2

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:**520.00** კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019924841 , თარიღი 07/11/2019 12:49:57
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/11/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- განკარგულება N1609 , დამოწმების თარიღი:20/08/2012 , საქართველოს მთავრობა
- წერილი N3429 , დამოწმების თარიღი:03/07/2019 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
- ბრძანება N117 , დამოწმების თარიღი:14/05/2013 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესაკუთრეები:
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:233730139

მესაკუთრე:	**საკუთრების ტიპი:**	**საკუთრება:**	**ფართი:**	**წილი:**
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	**არასაცხოვრებელი ფართი**	**სართული1,** 94.54 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21028324, 24/03/2021 00:44:07

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	პროგრესის ვექტორი
სამართლებრივი ფორმა:	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	433645932
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	01/05/2015
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ლანჩხუთი მ.კუპრეიშვილის ქ. N 12

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა:	vectorofprogress@gmail.com
ტელეფონი:	598191981

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- დამფუძნებელთა საერთო კრება
- გამგეობა

  თავმჯდომარე/წევრი: მარინა ნუცუბიძე, 26001010951

  წევრი: ლომინ თოფურია, 26001002673

  წევრი: ნინო ჩხაიძე, 26001033199

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გამგეობის თავმჯდომარე - მარინა ნუცუბიძე, 26001010951

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

წესდება

ახალგაზრდული ორგანიზაცია

„პროგრესის ვექტორი“

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1. **ახალგაზრდული ორგანიზაცია „პროგრესის ვექტორი"** წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3.ორგანიზაციის სახელწოდება: ახალგაზრდული ორგანიზაცია **„პროგრესის ვექტორი"**

14. სამართლებრივი ფორმა – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

1.5.იურიდიული მისამართი – ლანჩხუთი მ. კუპრეიშვილის ქ. #12

ელექტრონული ფოსტა – vectorofprogress@gmail.com

1.6.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.7. **ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები:**

ა) შშმ პირების ღირსების, უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;

ბ) შშმ პირებთა საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტების გააქტიურება;

გ) საზოგადოებაში შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება;

დ) ახალგაზრდა შშმ პირების უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის, მათი ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ხელის შეწყობა;

ე) შშმ პირების ჩართვა კულტურულ პროცესებში;

ვ) შშმ პირთა განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა;

1.8. ორგანიზაციის საქმიანობის ფორმები:

წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია „პროგრესის ვექტორი"

ა) ეწევა საგანმანათლებლო შემოქმედებით საქმიანობას შშმ პირებთა მიერ საკუთარი უფლებების გაცნობისა და უფლებათა გამოყენების უნარჩვევების ამაღლებისათვის;
ბ) ეწევა შშმ პირთა უფლებების - „დამოუკიდებელი ცხოვრების იდეის პოპულარიზაციას".
გ) პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში;
დ) ხელს უწყობს შშმ პირთა სამართლებრივი დაცვის ეფექტური ინფრასტრუქტურისა და რესურსცენტრების შექმნას;
ე) თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
ვ) ზრუნავს შშმ პირთათვის თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის განვითარებაზე;
ზ) ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;
1.9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
1.10.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2
ორგანიზაციის დამფუძნებლები

2.1. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

1. მარინა ნუციბიძე დაბადებული 13/01/1988 წ.
მცხოვრები, მ. კუპრეიშვილის ქ #12
პირადი №26001010951
მოწმობის № 13ID13625
ვის მიერაა გაცემული და როდის: იუსტიციის სამინისტრო 14/02/2014

2. ლომინ თოფურია დაბადებული
მცხოვრები, თბილისი. აბაკელიას ქ. #5
პირადი№26001002673
მოწმობის№ 13ID84414
ვის მიერაა გაცემული და როდის: იუსტიციის სამინისტრო 29/04/2014

3. ნინო ჩხაიძე - დაბადებული 25/07/1991წ.
მცხოვრები, ლანჩხუთი, ცაბაძის ქ.4
პირადი №26001033199
მოწმობის №11ID75634
ვის მიერაა გაცემული და როდის: იუსტიციის სამინისტრო 26.06.2012

მუხლი 3

ორგანიზაციის მართვა

ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა საერთო კრება;

3.1.ორგაიზაციის დამფუძნებელთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, ორგაიზაციის მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე გამგეობის ან ორგაინზაციის დამფუძნებელთა 1/2–ის წერილობითი მოთხოვნით, შეიძლება მოწვეულ იქნას კავშირის დამფუძნებელთა რიგგარეშე საერთო კრება;

3.2.კავშირის დამფუძნებელთა საერთო კრება მოიწვევა გამგეობის მიერ ორი კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტობინებით ან ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებული განცხადებით, კრების ჩატარების ადგილისა და დღის წესრიგში მდგარი საკითხების ჩვენებით;

3.3..დამფუძნებელთა კრების კომპეტენცია

ა) ამტკიცებს ორგანიზაციის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები, რომლის შესახებაც აცნობებს შესაბამის ორგანოებს;

ბ) ირჩევს გამგეობის წევრებს და გამგეობის თავმჯდომარეს;

გ) განიხილავს და ამტკიცებს გამგეობის ანგარიშებს;

დ) ამტკიცებს კავშირის ბიუჯეტს;

ე) კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე დამფუძნებელთა საერთო კრება, ხმების უმრავლესობით;

წესდების შეცვლისა და ორგანიზაციის მიზნის შეცვლისათვის საჭიროა ხმების 3/4;

ვ) კრების იმ წევრთა წერილობით გაგზავნილი ხმები, რომლებიც არ ესწრებიან საერთო კრებას, უთანაბრდება კრებაზე დამსწრეთა ხმებს;

მუხლი 4

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ორგანიზაციის გამგეობა.

- ✓ ორგანიზაციის გამგეობას ირჩევს საერთო კრება 3 წლის ვადით და მისი უფლებამოსილება გრძელდება ახალი გამგეობის არჩევამდე.
- ✓ გამგეობა აწყობს წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრას.

4.2. გამგეობის კომპეტენცია

- ✓ იწვევს ორგანიზაციის დამფუძნებელთა საერთო კრებას;
- ✓ ამზადებს და განიხილავს საერთო კრებაზე გასატან საკითხებს;
- ✓ წყვეტს ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- ✓ წარმართავს ორგანიზაციის ადმინისტრაციების ჩამოყალიბების საკითხს და მის საქმიანობას;
- ✓ განიხილავს ორგანიზაციის ფილიალების შექმნისა და გაუქმების საკითხს;
- ✓ ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას, ამტკიცებს მათ დებულებას;
- ✓ დამფუძნებელთა კრებას წარუდგენს ანგარიშს თავის საქმიანობაზე;
- ✓ დამფუძნებელთა კრებას წარუდგენს თავმჯდომარის კანდიდატურას დასამტკიცებლად;
- ✓ კენჭს უყრის გამგეობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებებს;

- ✓ ორგანიზაციის წევრის მიერ წესდების დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში გამგეობა განიხილავს და გადაწყვეტს ორგანიზაციის წევრად მისი დარჩენის მიზანშეწონილობის საკითხს;
- ✓ გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა 3/4, გადაწყვეტილება მიიღება ხმის უმრავლესობით.

გამგეობის წევრები არიან:

1. <u>მარინა ნუცუბიძე</u> დაბადებული 13/01/1988 წ.
   მცხოვრები, მ. კუპრეიშვილის ქ #12
   პირადი №26001010951
   მოწმობის № 13ID13625
   ვის მიერაა გაცემული და როდის: იუსტიციის სამინისტრო 14/02/2014

2. <u>ლომინ თოფურია</u> დაბადებული 06/04/1980
   მცხოვრები, თბილისი. აბაკელიას ქ. #5
   პირადი№26001002673
   მოწმობის№ 13ID84414
   ვის მიერაა გაცემული და როდის: იუსტიციის სამინისტრო 29/04/2014

3. <u>ნინო ჩხაიძე -</u> დაბადებული 25/07/1991წ.
   მცხოვრები, ლანჩხუთი, ცაბაძის ქ.4
   პირადი №26001033199

მოწმობის №131D13625
ვის მიერაა გაცემული და როდის: იუსტიციის სამინისტრო 26.06.2012

4.3. გამგეობის საქმიანობას წარმართავს და კოორდინაციას უწევს გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც 3 წლის ვადით ირჩევს გამგეობა და დასამტკიცებლად წარუდგენს დამფუძნებელთა საერთო კრებას. ერთი და იგივე კანდიდატურის არჩევა შეიძლება ორჯერ ზედიზედ.

4.4. გამგეობის თავმჯდომარის უფლებები:

- ✓ თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ორგაინიზაციას/გამგეობას, გასცემს ბრძანებებს და მითითებებს, რომლებიც არ სცდებიან ორგანიზაციის კომპეტენციას;
- ✓ წარმოადგენს ორგაინიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;
- ✓ იღებს გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ურთიერთობების დასამყარებლად;
- ✓ ხელს აწერს კავშირის ოფიციალურ, მათ შორის საფინანსო დოკუმენტებს;
- ✓ პასუხისმგებელია ორგაინიზაციას ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების სწორ გამოყენებაზე;
- ✓ იწვევს გამგეობის სხდომებს;
- ✓ გამგეობასთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს ფილიალების და წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს;
- ✓ გამგეობის თავმჯდომარესთან საჭიროების შემთხვევაში იქმნება სათათბირო ორგანო – დირექტორთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან პროგრამების დირექტორები (კოორდინატორები). დირექტორატის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ ორგაინიზაციას თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
- ✓ ანგარიშვალდებულია გამგეობასთან და დამფუძნებელთა საერთო კრებასთან;

<u>გამგეობის თავმჯდომარეა</u>

1. <u>მარინა ნუციბიძე</u> დაბადებული 13/01/1988 წ.
   მცხოვრები, მ. კუპრეიშვილის ქ #12
   პირადი №26001010951
   მოწმობის № 13ID13625
   ვის მიერაა გაცემული და როდის: იუსტიციის სამინისტრო 14/02/2014

მუხლი 5

წევრთა უფლებები და მოვალეობები

5.1. ორგანიზაციის წევრად მიიღებიან 18–დან 50 წლის ასაკამდე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ან არმქონე საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც აღიარებენ წესდებას და მონაწილეობას მიიღებენ მის საქმიანობაში.

5.2. ორგანიზაციაში განსაკუთრებული საჭიროებების არმქონე წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს წევრთა საერთო რიცხვის 49% – ს.

5.3. კავშირიდან გასვლა თავისუფალია.

5.4. კავშირის წევრების უფლებები

- ✓ ორგანიზეის წევრს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის საქმიანობის ნებისმიერ მიმართულებაში;
- ✓ აირჩიოს და არჩეულ იქნას ორგანიზაციის ხელმძღვანელ და მაკონტროლებელ ორგანოებში;
- ✓ იყოს სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი;

5.5. ორგანიზაციის წევრები ვალდებულნი არიან:

- ✓ დაიცვან მოცემული წესდების დებულებანი;
- ✓ გაუფრთხილდნენ ორგანიზაციის ღირსებასა და ავტორიტეტს;
- ✓ ხელი შეუწყონ ორგანიზაციის მიზნების განვითარებას;
- ✓ მონაწილეობა მიიღონ პროგრამების განხორციელებაში, მათი შესაძლებლობების და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით;
- ✓ ორგანიზაციის წევრს ორგანიზაციის კავშირის სახელით მოქმედება თუ არა აქვს სპეციალური რწმუნება;
- ✓ გაუფრთხილდნენ ორგანიზაციის ქონებას;

5.6. წევრობა

- ✓ ორგანიზაციაში გაწევრიანების, გარიცხვის ან გასვლის საკითხს წყვეტს გამგეობა;
- ✓ ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც სურს გახდეს ორგანიზაციის წევრი, მიმართავს განცხადებით ორგანიზაციის გამგეობას და შემდეგი 3 თვის განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ორგანიზაციის საქმიანობაში. საცდელი ვადის გასვლის შემდეგ პიროვნება კენჭისყრის წესით მიღებულ იქნება ორგანიზაციის წევრად, თუ მას ექნება კავშირის 2 წევრის რეკომენდაცია;

მუხლი 6

ორგანიზაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38[1] მუხლის შესაბამისად.

6.3.ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

6.4. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

6.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

6.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი.

ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.
6..9. კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელთა საერთო კრება

- ✓ გადაწყვეტილება კავშირის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას კავშირის დამფუძნებელთა 3/4-მა მისცა ხმა;
- ✓ კავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს სხვა შემთხვევებშიც, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით;
- ✓ ლიკვიდაციას ახორციელებს კრების მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია;
- ✓ ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

7..1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

მარინა ნუცუბიძე /_____/

ლომინ თოფურია /_____/

ნინო ჩხაიძე /_____/

საქართველოს მუნიციპალიტეტების ასოციაციის
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №476
თარიღი - 30 - აპრილი 2015 წ.

არასაცხოვრებელი ფართი
I სართული
სკ: 27.06.56.072.01/502



შიდა აზომვითი ნახაზი საერთო ფართი 219.03მ² Iსართული			ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი		
მესაკუთრე	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი		შემსრულებელი		გ.დოლიძე tel. 591452272
მისამართი	ქალაქი ლანჩხუთი, მდინარაძის ქ. #2		მასშტაბი 1:180		თარიღი 19.08.2024